საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია

30 ოქტომბერი, 2020 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა

2.12:05 - 12:10 სთ.

„საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ პროექტის დამტკიცების თაობაზე- *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).*

3.12:10 - 12:15 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება 2 (ორი) ვაკანტურ თანამდებობაზე -*(კანდიდატის დასახელების დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება).*

4.12:15 - 12:20 სთ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება 1 (ერთ) ვაკანტურ თანამდებობაზე -*(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.).*

5. 12:20 - 12:30 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

6. 12:30 – 14:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

7. 14:00 – 15:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა - II ტური *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*

8. 15:00 – 16:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, I ტური - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

9. 17:00 – 18:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, II ტური - *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*